შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ივერია იმპექსი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერი

შპს "ივერია იმპექსი"

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

1 ზოგადი ინფორმაცია 4

2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა 5

3 ძირითადი საშუალებები 9

4 ფული და ფულის ექვივალენტები ..... Error! Bookmark not defined.

5 სავაჭრო და სხვა მოკლევადიან მოთხოვნები 101

6 მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები 10

7 კაპიტალი 10

8 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები 11

9 ამონაგები 112

10 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 11

11 მიწოდებისა და მარკეტინგის
დანახარჯები 12

12 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 12

13 ფინანსური შემოსავალი/ხარჯი 12

14 მოგების გადასახადის ხარჯი 13

15 მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ 12

16 ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება 13

შპს "ივერია იმპექსი"
ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023	2022
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები		1016124.21	276,815.58	269,370.13
არამატერიალური აქტივები				
საინვესტიციო ქონება				
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,016,124	276,815.58	269,370.13
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები		1531653.84	1,192,844.95	356,716.93
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		4773463.81	1,809,769.88	1,647,569.43
მარაგები		1636171.18	2,420,266.27	2,153,498.58
წინასწარ გადახდილი სხვა ხარჯები				
წინასწარ გადახდილი გადასახადები				
სულ მოკლევადიანი აქტივები		7,941,289	5,422,881.10	4,157,784.94
სულ აქტივები		8,957,413	5,699,696.68	4,427,155.07
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		998942.43	1059007.99	26,652.79
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		3713867.92	2814537.59	2,727,681.81
გადაფასების რეზერვი				
სულ კაპიტალი		4,712,810	3,873,545.58	2,754,334.60
ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები			-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მიღებული ავანსები		4102220.02	1673601.23	1,670,544.84
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		142382.67	152549.87	2,275.62
საგადასახადო ვალდებულებები				
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		4,244,603	1,826,151.10	1,672,820.46
სულ ვალდებულებები		4,244,603	1,826,151.10	1,672,820.46
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		8,957,413	5,699,696.68	4,427,155.06

გიორგი ხვედელიძე
დირექტორი

ელენე სიხარულიძე
მთავარი ბუღალტერი

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის დასრულებულიწლისათვის

(ლარში)	შენიშვნა	2024	2023
	12	10306000.53	5,483,006
ამონაგები	13	(8,617,050)	(4,756,706)
თვითღირებულება		1,688,951	726,300
საერთო მოგება			
სხვა შემოსავლები	16	(468,532)	(345,333)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	14	(97,342)	(66,597)
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	15		
სხვა ხარჯები		1,123,077	314,370
საოპერაციო მოგება			
ფინანსური შემოსავალი	17	379025.35	166,968
ფინანსური ხარჯი		(548,752)	(212,958)
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		953,351	268,379
მოგება დაბეგვრამდე			
მოგების გადასახადი	18	953,351	268,379
წმინდა მოგება			
სხვა სრული შემოსავალი:			-
გადაფასების რეზერვი		953,351	268,379
მთლიანი სრული შემოსავალი			

გიორგი ხვედელიძე
დირექტორი

ელენე სიხარულიძე
მთავარი ბუღალტერი

შპს "ივერია იმპექსი"
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2023 წლის 31 დეკემბერი	1,059,007.99	-	2,814,537.59	3,873,545.58
წმინდა მოგება	-	-	953,351	953,351
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	953,351	953,351
გაცემული დივიდენდი	-	-	(54,021)	(54,021)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	(60,066)	-	-	(60,066)
2024 წლის 31 დეკემბერი	998,942	-	3,713,868	4,712,810

გიორგი ხვედელიძე
დირექტორი

ელენე სიხარულიძე
მთავარი ბუღალტერი

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს "ივერია იმპექსი" (შემდგომში „კომპანია") არის 2010 წლის 13 მაისს საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, იურიდიული მისამართით: საქართველო, ქ.თბილისი, ძველი თბილისისი რაიონი, გერგეთის შესახვევი 3; ბინა №4. (404382486). დირექტორი - გიორგი ხვედელიძე (01019014777). კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საბითუმო ვაჭრობა თევზით, კიბოსნაირებით და მოლუსკებით

2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობაა - 9

2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და საალრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში "მსს ფასს"), რაც ასახავს კომპანიის საალრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება კომპანიის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგებაა, რომელიც შესაბამისობაშია მსს ფასს-თან და მოიცავს შესადარის ინფორმაციას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოყენებული მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია ქვემოთ არის წარმოდგენილი. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა (იქნება) გამოყენებული ყველა პერიოდის მიმართ, თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან მსჯელობას კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. საკითხები, რომლებშიც ასახულია ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები და რომლებიც საჭიროებენ მაღალი დონის მსჯელობას და კომპლექსურ მიდგომებს, ამავე (მე-2) განმარტებით შენიშვნაში.

საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მენეჯმენტისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

საალრიცხვო პოლიტიკა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის სამუშაო ვალუტა ქართული ლარია, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის გადაფასება ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ") მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტაში

განხორციელებული ოპერაციების გადაფასების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა შემოსულობა/დანაკარგის ნაწილში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული „სებ" გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო

გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბერს	2.6894	2.9753
გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბერს	2.8068	2.9306

ძირითადი საშუალებები 2.

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების დროს აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწას ცვეთა არ ერიცხება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	წელი
შენობები	10-30
მანქანა-დანადგარები	2-15
ოფისის აღჭურვილობა	3-15
ამორტიზებადი აქტივები რომლებიც სხვა ჯგუფში არ არის შეტანილი	2-15

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას.

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალში/ხარჯში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან და რეზიდენტ ბანკებში არსებულ ანგარიშებზე არსებული ფულის ნაშთისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეძენაზე გაწეულ დანახარჯებს, გადამუშავების დანახარჯებს და ამჟამინდელ მდგომარეობამდე სასაქონლო-მატერიალური მარაგების მისაყვანად გაწეულ ხარჯებს. ნებისმიერი გაუფასურების ზარალის გამოვლენის მიზნით, ყოველწლიურად ხდება არალიკვიდურ

მარაგების იდენტიფიკაცია, მოძველებული ერთეულების არსებობის შემთხვევაში, ჩამოიწერება სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს გარიგების ფასით. კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს. ფინანსური აქტივების შემდგომი აღრიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებს გაუფასურებაზე. კომპანია აფასებს ხომ არ დადგა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთი ან მეტი გარემოება, რომელსაც გავლენა ექნებოდა ფინანსური აქტივის (აქტივთა ჯგუფის) თავდაპირველად გამოთვლილ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც სახელშეკრულებო უფლებები აქტივისგან წარმომდგარ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ეს უფლება ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა მეორე პირს ყველანაირ რისკთან და საკუთრების უფლებასთან ერთად. გადაცემული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი კომპანიის მიერ აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

საგადასახადო აქტივები

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ

მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სადაზღვევო კომპანიების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდის გამოცხადების პერიოდში.

საწესდებო კაპიტალი

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემოდინება კომპანიაში, ამასთან შემოსავლის შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავალი საქონლის ან მომსახურების რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ როდესაც: კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი ან გაუწია მომსახურება და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა, კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი. შემოსავლების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

შეფასებები და დაშვებები

ანგარიშგების თარიღის მდგომარეობით ძირითადი დაშვებები, რომლებმაც შეიძლება მომდევნო ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში მნიშვნელოვანი კორექტივები განაპირობოს, მოცემულია ქვემოთ.

კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი

ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ასეთი ცვლილებები აისახება მათი დადგომისთანავე.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს კომპანიის ხელმძღვანელობის ინტერპრეტაციებს. ამის გამო საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ გარიგებები და კომპანიას დააკისრონ მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. საგადასახადო ორგანოებს უფლება აქვთ, საგადასახადო კუთხით შეამოწმონ კომპანიის საქმიანობა წინა სამი კალენდარული წლის განმავლობაში. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც მოიცვას. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის

მისეული განმარტება ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები უცვლელი დარჩება.

ძირითადი საშუალებები

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

3 ძირითადი საშუალებები

	მანქანა-დანადგარები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერული ტექნიკა	მიწა	ჯამი
ლარში						
2023 წლის ბოლოს მდგომარეობით	40,499.90	169.08	143,195.94	2,520.34	170,027.30	356,412.56
	734,384		46,934	1,837		783,155
შესყიდვა						-
გასვლა						-
გაუფასურება						-
შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია						-
გადაფასების რეზერვი						
2024 წლის ბოლოს მდგომარეოით	774,883.90	169.08	190,129.94	4,356.95	170,027.30	1,139,567.17
დაგროვილი ცვეთა						
2023 წლის ბოლოს მდგომარეობით	14,555.50	1,842.21	61,853.07	1,346.44		79,597.22
ცვეთის ხარჯი	14,501.43	633.13	28,181.01	530.28		43,845.85
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა						-
2024 წლის ბოლოს მდგომარეობით	29,056.93	1,842.21	90,034.08	1,876.72	-	123,443.07

	25,944.40	(1,673.13)	81,342.87	1,173.90	170,027.30	276,815.34
2023 წლის ბოლოს	745,826.97	(1,673.13)	100,095.86	2,480.23	170,027.30	1,016,124.10
2024 წლის ბოლოს						

4 სავაჭრო და სხვა მოკლევადიან მოთხოვნები

	31/12/2024	31/12/2023
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	4773463.81	856,483.26
წინასწარ გადახდილი სხვა ხარჯები		953,286.62
წინასწარ გადახდილი გადასახადები		
	4,773,463.81	1,809,769.88

5 ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

	31/12/2024	31/12/2023
ლარში	62029.73	24681.28
ფული სალაროში	1469624.11	1168163.67
ფული საბანკო ანგარიშებზე	1,531,653.84	1,192,844.95

6 მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	31/12/2024	31/12/2023
ლარში	29869.39	27363.93
მზა პროდუქცია	172040.04	13234.67
ნედლეული	124599.49	94257.46
დაუმთავრებელი წარმოება	1309662.26	2285410.21
საქონელი		
სხვა მარაგები	1,636,171	2,420,266

7 კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი 2024 წლის დასაწყისისთვის კომპანიაში საწესდებო შეადგენს 1 059 007,99 ლარს, ხოლო გაუნაწილებელი მოგება 2 814 537 ლარს. 2024 წლისთვის კომპანიის სხვა სრულმა შემოსავალმა შეადგინა 953 351 ლარი, საანგარიშო პერიოდში გაცემულმა დივიდენდმა შეადგინა 54 021 ლარი, რის შედეგადაც კომპანიის მთლიანი კაპიტალი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 4 712 810 ლარს.

8 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

ლარში	31/12/2024	31/12/2023
სავაჭრო ვალდებულებები		1673601.23
გადასახელი ხელფასები	4102220.02	
მოკლევადიანი სესხები		
გადასახდელი პროცენტები		152549.87
გადასახდელი დივიდენდები	142382.67	
საგადასახადო ვალდებულებები	4,244,603	1,826,151.10

9 ამონაგები

ლარი	31/12/2024	31/12/2023
პროდუქციის რეალიზაცია	10306000.53	5483006
ძირითადი საშვალების რეალიზაცია		
სხვა მასალები	10,306,000.53	5,483,006.00

10 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

ლარი	31/12/2024	31/12/2023
პროდუქციის თვითღირებულება	8,617,050	4756705.59
ძირითადი საშვალების თვითღირებულება		
სხვა მასალების თვითღირებულება	8,617,050.02	4,756,705.59

11 მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები

	31/12/2024	31/12/2023
გადმოტვირთვის დანახარჯები	47728.15	
საწვავის ხარჯი	34705.68	30711.68
რეკლამის დანახარჯები	1207.23	35885.08
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი	13700.92	
რეალიზაციის დანახარჯები		

	97,341.98	66,596.76

12 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	331/12/2024	31/12/2023
შრომის ანაზღაურება	215161.36	130952.69
ბანკის მომსახურება	14613.9	15191.12
სოციალური დანარიცხები	4211.36	2515.19
წარმომადგენლობითი ხარჯი	3530	4830
იჯარის ხარჯი	109093.18	107467.52
საკანცელარიო	3840.17	2906.79
ავტომანქანების ხარჯი	853.81	457.68
ოფისის ხარჯი	43845.85	25814.55
კომუნიკაციის ხარჯები	15000	18,076
კომპიუტერის ხარჯები	48848.91	6,000
ცვეთა და ამორტიზაცია		1468.56
საკონსულტაციო ხარჯები	458,999	315,681
სხვა საერთო ხარჯი		
ქონების გადასახადი		

13 ფინანსური შემოსავალი/ხარჯი

ლარი	31/12/2024	31/12/2023
ბანკის სესხის პროცენტი	(226,484)	(113,052)
გადაფასებით მიღებული ზარალი		(99,906)
სხვა ფინანსური ხარჯები	(322,268)	
ფინანსური შემოსავალი	379,025	166,968
	(169,727)	(45,991)

14 მოგების გადასახადის ხარჯი

ლარი	31/12/2024	31/12/2023
მიმდინარე მოგების ხარჯი	9533	32959
	9,533	32,959

15 მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია სხვა მნიშვნელოვან მოვლენებს.

16 ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია ხელმძღვანელობის მიერ და დამტკიცებულია 2024 წლის 21 სექტემბერს.